

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული უნარების ტესტი

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითი პასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 40 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 54.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N1

მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესთან, რომელსაც ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მსუბუქი ფორმა აქვს, დაისახა გრძელვადიანი მიზანი — „მოსწავლეს შეუძლია აზრის გადმოცემა ბარათებზე გამოსახული მარტივი სიუჟეტური ნახატების გამოყენებით“. შედეგის მისაღწევად მან შეიმუშავა ეტაპობრივი გეგმა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა უნდა გამოიყენოს თავდაპირველად მასწავლებელმა იმისათვის, რომ მოსწავლემ მიაღწიოს დასახულ მიზანს?

- ა) მასწავლებელი ასახელებს და ახმოვანებს არსებით სახელებს, აღწერს ნახატზე მოცემულ მოქმედებებს. მოსწავლე პასუხობს კითხვებს, თუ ვინ ან რა არის მოცემული ნახატზე.
- ბ) მასწავლებელი მოსწავლესთან ერთად აღწერს ნახატს და იყენებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებსა და ზედსართავ სახელებს.
- გ) მასწავლებელი აღწერს სიუჟეტურ ნახატს, ასახელებს კონკრეტულ გამოსახულებას, რომელიც მოსწავლემ მოცემულ ბარათზე უნდა უჩვენოს.
- დ) მოსწავლე მასწავლებელთან ერთად აღწერს ნახატს და მოცემული გამოსახულებების მიხედვით გადმოსცემს მთლიან ამბავს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N2

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეს ცერებრული დამბლის დიაგნოზი აქვს და ეტლით სარგებლობს. ის ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) გათვალისწინებული პროგრამით სწავლობს, მაგრამ კითხვის პროცესში სჭირდება ფონტის გადიდება, წერილობითი დავალებების შესრულებისას კი - გამოკითხვის ალტერნატიული ფორმა.

ჩამოთვლილთაგან სწავლების პროცესში სსსმ მოსწავლისათვის ესგ-ს ადაპტაციის რომელი ფორმა/ფორმებია გამოყენებული?

- I. სასწავლო გეგმის აკომოდაცია - სსსმ მოსწავლეებისთვის ესგ-ს შედეგების მიღწევაში ხელშეწყობა, გარემო პირობების შეცვლა.
- II. სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია - კლასის საგნობრივი პროგრამის ფარგლებში ესგ-ის შედეგების რაოდენობის შეცვლა.
- III. ალტერნატიული მიზნების შეტანა - მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)


დავალება N3

მეხუთე კლასის მოსწავლეს ინტელექტუალური განვითარების დარღვევა აქვს. მას შეუძლია ბევრისა და ცოტას გარჩევა, მაგრამ ძალიან უჭირს მეტობა-ნაკლებობის სიმბოლოების (><) მნიშვნელობის გაგება.


ქვემოთ მოცემული რომელი ილუსტრაციის/ილუსტრაციების გამოყენება იქნება ყველაზე ეფექტიანი იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლემ უკეთ აითვისოს მათემატიკური სიმბოლოები?



I



II



III

- ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N4

ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას და მითითებებს მის შესასრულებლად. ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეს ხალისით ერთვება აქტივობაში, მაგრამ როგორც კი ბავშვები ხატვას იწყებენ, მიდის მათთან, ართმევს და უფუჭებს ნახატებს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული რეკომენდაცია/რეკომენდაციები ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლის ქცევის თვითმართვის ჩვევების გაუმჯობესებისათვის?

- I. დავალების შესასრულებლად მოსწავლეს მიეცით ერთნაბიჯიანი ინსტრუქციები.
- II. დავალების შესრულებისას მიეცით მოსწავლეს თავისუფლება, არ შეზღუდოთ დროით მისი საქმიანობა.
- III. დავალების შესრულებისას პერიოდულად მიუახლოვდით მოსწავლეს და შეუქეთ შესრულებული სამუშაო.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N5

მოსწავლეს ვაძლევთ საშუალებას, ერთი წუთის განმავლობაში დააკვირდეს სამ სურათს და ვეუბნებით: „შეხედე და დაიმახსოვრე“. შემდეგ ვართმევთ მათ, შევურევთ სხვა სურათებს და ვთხოვთ, მათ შორის ამოიცნოს ის სამი, რომლებიც უნდა დაემახსოვრებინა.

მოცემული სავარჯიშო გამოიყენება:

- ა) ასოციაციური მეხსიერების განვითარებისათვის.
- ბ) ხანგრძლივი მეხსიერების მოცულობის გასაზრდელად.
- გ) ლოგიკური ასოციაციური მეხსიერების განვითარებისათვის.
- დ) ხანმოკლე მხედველობითი მეხსიერების მოცულობის გასავარჯიშებლად.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 28a 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40

დავალება N6

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ შესრულებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: სსსმ მოსწავლისთვის ფუნქციური უნარების განვითარება.

აქტივობა: სპეციალურმა მასწავლებელმა მოსწავლეს სკოლის ბუფეტში ფუნთუშის დამოუკიდებლად ყიდვა დაასწავლა და მშობელს სთხოვა, მაღაზიაში ყოფნის დროს თავისი შვილისთვის დაევალებინა სხვადასხვა ნივთის შეძენა.

აღნიშნული აქტივობა მიზნის:

*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)


- ა) ადეკვატურია, რადგან მოსწავლე დასწავლილი უნარის გამოყენებით სხვა დროსაც უპრობლემოდ შეძლებს საყიდლებზე სიარულს.
- ბ) ადეკვატური არ არის, რადგან მშობლის მეთვალყურეობით შესრულებული ქცევა სსსმ მოსწავლეს უფრო მეტად დამოკიდებულს გახდის მშობელზე.
- გ) ადეკვატურია, რადგან დასწავლილი უნარის ყოფით სიტუაციაში გამოყენება ხელს შეუწყობს ცხოვრების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას.
- დ) ადეკვატური არ არის, რადგან ეს არის მექანიკურად დასწავლილი აქტივობა და მის სხვა სიტუაციაში გადატანას სსსმ მოსწავლე ვერ მოახერხებს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)


დავალება N7

მოსწავლეს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD) აქვს. გაკვეთილის მსვლელობისას ის მუდმივად მოძრაობს, იმპულსურია და უჭირს ყურადღების კონცენტრაცია. მისთვის საკლასო ოთახში ადგილის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს.


საგაკვეთილო პროცესში უკეთ ჩართვის თვალსაზრისით, რომელ სქემაზე/სქემებზეა სწორად შერჩეული ადგილი ADHD სინდრომის მქონე მოსწავლისათვის?



I



II



III

- ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N8

მესამე კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწია პირველი კლასისთვის განსაზღვრულ მიზანს — უჭირს ტექსტში აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისისა და დასასრულის ამოცნობა, ვერ პოულობს სასვენ ნიშნებს. მასწავლებელი მოსწავლესთან ამ მიზნის მისაღწევად პირველი კლასის სახელმძღვანელოს ნაცვლად, ისევე, როგორც მთელ კლასთან, მესამე კლასის სახელმძღვანელოს იყენებს.

მასწავლებლის ქმედება:

- ა) მართებულია, რადგან მთელ კლასთან ერთსა და იმავე ტექსტზე მუშაობა ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურად ჩართვას, მასწავლებელს კი უმარტივებს გაკვეთილის დაგეგმვასა და წარმართვას.
- ბ) არ არის მართებული, რადგან მოსწავლეს აღნიშნული შედეგი ინდივიდუალურად აქვს განსაზღვრული, მისთვის მიზნის მისაღწევად აუცილებელია პირველი კლასის სახელმძღვანელოს ნაბიჯ-ნაბიჯ გავლა.

*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

- გ) მართებულია, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლეთათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, რომლებსაც ისინი თანამიმდევრულად უნდა ეუფლებოდნენ ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში.
- დ) არ არის მართებული, რადგან მოსწავლეს გაუჭირდება ერთდროულად ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტირება და იმ თემების ათვისება, რომლებსაც მისი თანატოლები სწავლობენ.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N9

მეხუთე კლასის მოსწავლე მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით განათლებას იღებს შინ სწავლების ფორმით.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა უნდა იყოს გათვალისწინებული შინ სწავლების დროს?

- ა) შინ სწავლებას აუცილებლად უნდა წარმართავდეს სპეციალური მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
- ბ) სპეციალურმა მასწავლებელმა ინდივიდუალური გრაფიკით უნდა უზრუნველყოს მოსწავლის შინ სწავლება მშობლის დახმარებით.
- გ) შინ სწავლება უნდა მიმდინარეობდეს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგიერთ გაკვეთილს მოსწავლე აუცილებლად სკოლაში უნდა დაესწროს.
- დ) შინ სწავლებას უნდა წარმართავდნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად გაწერილი გრაფიკით.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N10

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლისთვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს და მიზნის მიღწევის გზებს. ისგ იქმნება კონკრეტული მოსწავლისათვის და გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის წარმართვის ინსტრუმენტი.

ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ გადაწყდეს სსსმ მოსწავლის სწავლება ისგ-ით?

- ა) რაიმე სახის ქრონიკული დაავადება ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი.
- ბ) ემოციისა და ქცევის რეგულაციის სირთულეები და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის პრობლემა.
- გ) სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაბალი აკადემიური მოსწრება.
- დ) სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნების დაძლევის პრობლემა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N11

სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს, ვინ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ სფეროს შეფასება, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის საჭიროებების დეტალური ანალიზისთვის.

ჩამოთვლილთაგან რომელს არ შეუძლია უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური და შემეცნებითი უნარების შეფასება?

- ა) მულტიდისციპლინურ გუნდს
- ბ) სპეციალურ მასწავლებელს
- გ) კლასის დამრიგებელს
- დ) სკოლის ფსიქოლოგს

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N12

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ შესრულებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: სპეციალური მასწავლებლის ეფექტიანი თანამშრომლობა საგნის პედაგოგთან.

აქტივობა: სპეციალურმა მასწავლებელმა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე დასწრების შემდეგ მასწავლებლის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლესთან გამოყენებული სტრატეგიების ეფექტიანობა სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად განიხილა და ისაუბრა მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

სპეციალური მასწავლებლის აქტივობა დასახული მიზნის:

- ა) ადეკვატურია, რადგან კონკრეტული შემთხვევის განხილვა დაეხმარება დანარჩენ მასწავლებლებს ეფექტური სტრატეგიის შერჩევასა და სწორად გამოყენებაში.
- ბ) ადეკვატური არ არის, რადგან სპეციალური მასწავლებლის მიერ კოლეგებთან თანამშრომლობისას კონფიდენციალურობის დაცვა აუცილებელია.
- გ) ადეკვატურია, რადგან სპეციალური მასწავლებლისა და კოლეგების ასეთი ჩართულობით მასწავლებელი ხარვეზებს უკეთ შეამჩნევს და გამოასწორებს.
- დ) ადეკვატური არ არის, რადგან საგაკვეთილო პროცესზე დასწრების მიზანი ისგ-ის მონიტორინგია და არა სწავლების სტრატეგიის შეფასება.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N13

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლე დავალებებს ბოლომდე ვერ ასრულებს, რადგან ხშირად ეფანტება ყურადღება.

ჩამოთვლილთაგან სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში მასწავლებლის რომელი სტრატეგია იქნება ყველაზე ეფექტიანი?

- ა) მასწავლებელი, დავალების შესრულების ხარისხის მიუხედავად, მოსწავლეს შეუქებს დასრულებულ სამუშაოზე გაწეულ ძალისხმევას.
- ბ) მასწავლებელი არ რეაგირებს სსსმ მოსწავლის უყურადღებობაზე და შედეგს მასაც სხვა მოსწავლეების მსგავსად სთხოვს.
- გ) მასწავლებელი დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსწავლეს აძლევს შენიშვნას და სთხოვს მეტ მობილიზებას.
- დ) მასწავლებელი კლასის სხვა მოსწავლეებს ავალებს სსსმ მოსწავლის მუშაობის პროცესის მონიტორინგს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N14

სკოლის ადმინისტრაციამ ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოსწავლისათვის სკოლაში ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის მიზნით აუცილებელია:

- ა) სწავლება წარმართოს მოდიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით და საგნის მასწავლებლები მოამარაგოს მოსწავლისთვის საჭირო ყველა სახის ადაპტირებული მასალით.
- ბ) მოსწავლისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე განალაგოს ნივთები და დაფა, უზრუნველყოს განიერი კარი და დამატებითი მოაჯირები, მოაწყოს ადაპტირებული საპირფარეშო.
- გ) შეიძინოს დამხმარე საშუალებები: ეტლი, გადასადგილებელი ჩარჩო, ყავარჯენი, სწორად შეარჩიოს საკლასო ოთახი და მოსწავლის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პერსონალი.
- დ) შეიძინოს მსხვილი მოტორული უნარების განმავითარებელი რესურსები და მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით რესურს ოთახში უზრუნველყოს ინდივიდუალური გაკვეთილები.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N15

მოსწავლეს ინტელექტუალური განვითარების მსუბუქი ხარისხის დარღვევა აქვს. მასწავლებლის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლემ შეძლოს წყლის სხვადასხვა მდგომარეობის განსაზღვრა. მან სსსმ მოსწავლეს სახლში წყლის დუღილისა და გაყინვა/დნობის პროცესზე დაკვირვება დაავალა.

მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობა მიზნის:

- ა) **ადეკვატურია**, რადგან მოსწავლეს ეძლევა საკუთარი პოტენციალის რეალიზების, ინიციატივის გამოვლენისა და კეთებით სწავლის საშუალება, რაც მას მეტად აქტიურს გახდის.
- ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან მოსწავლე დახმარების გარეშე ვერ შეძლებს დავალების შესრულებას, რაც გამაღიზიანებელი და დამთრგუნველი იქნება მისთვის.
- გ) **ადეკვატურია**, რადგან მოსწავლის ამგვარი აქტივობების გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლის ცნებითი/აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას.
- დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან სწავლების დროს მასწავლებელი არ ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, რაც გაკვეთილზე მის ჩართულობას მნიშვნელოვნად შეამცირებს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N16

შეუსაბამეთ A სვეტში წარმოდგენილი აღწერები B სვეტში მოცემულ განვითარების დარღვევის ტიპებს.

აღწერა (A)	განვითარების დარღვევის ტიპი (B)
I. მოსწავლე ემოციებს ვერ აკონტროლებს ან მათ გამოხატავს სიტუაციისთვის შეუსაბამოდ.	ა) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა ბ) აუტისტური სპექტრის აშლილობა
II. მოსწავლეს უჭირს როგორც საკუთარი გრძნობების ადეკვატური გამოხატვა, ასევე, სხვისი ემოციების სწორად გაგება.	
III. მოსწავლეს უჭირს დამოუკიდებლად გაიგოს პრობლემის ხასიათი და იპოვოს მისი გადაწყვეტის გზები.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N17

A სვეტში მოცემულია ინფორმაცია ფუნქციური უნარებისა და ჩვევების შესახებ, ხოლო B სვეტში — ძირითადი აკადემიური უნარები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

ფუნქციური უნარები და ჩვევები (A)	აკადემიური უნარები (B)
I. ფანქრით ხაზების გავლება, მარტივი ფიგურების გადახატვა.	ა) მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარები ბ) ანგარიშის უნარი
II. კითხვებზე პასუხის გაცემა, კითხვის დასმა, აზრის გამოხატვა.	გ) კითხვისათვის მოსამზადებელი უნარები
III. კუბების გადარჩევა ფერების მიხედვით და მათი რაოდენობების შედარება.	დ) წერისათვის მოსამზადებელი უნარები

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N18

ყურადღებით წაიკითხეთ A სვეტში მოცემული სიტუაცია და შეუსაბამეთ B სვეტში მოცემულ ქცევის მართვისთვის გამოყენებულ განმამტკიცებელს.

სიტუაცია (A)	განმამტკიცებელი (B)
<p>I. მოსწავლე ხშირად იმსახურებდა შენიშვნას, რადგან უდიერად ეპყრობოდა სასკოლო ნივთებს. მასწავლებელმა ის ნივთების დალაგებისათვის რამდენჯერმე შეტონით დააჯილდოვა. მას შემდეგ, რაც მოსწავლემ დაგროვილი შეტონებით სკოლის სასადილოში ტკბილეული შეიძინა, ის უფრო მოწესრიგებული გახდა.</p>	

*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

<p>II. მოსწავლე სკოლაში ხალისით დადის, მაგრამ სახლში დავალებების შესრულება არ უყვარს. მას შემდეგ, რაც დედამ მეცადინეობის დასრულების შემდეგ კომპიუტერით თამაშის ნებართვა მისცა, მოსწავლემ მეტი მონდომებით დაიწყო დავალებების შესრულება.</p>	<p>ა) სოციალური ბ) მატერიალური</p>
<p>III. მოსწავლე კომუნიკაბელურია, თუმცა გაკვეთილებზე თითქმის „შეუმჩნეველი“ ხდება, რადგან მიაჩნია, რომ ბევრი რამ ისე არ გამოსდის, როგორც მის თანატოლებს. მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა მოსწავლის მიღწევები აღიარა და კლასის წინაშე მის ძლიერ მხარეებზე გააკეთა აქცენტი, იგი უფრო აქტიური გახდა.</p>	<p>გ) აქტივობითი დ) გადაცვლადი</p>

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 28a 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40

ეტლით მოსარგებლე და-ძმა ერთ კლასში სწავლობს. მათ ცერებრული დამბლის დიაგნოზი აქვთ. გოგონა რთულად, მაგრამ დიდი ძალისხმევით, მაინც ახერხებს სასწავლო მასალის დაძლევას, ძმას კი უჭირს ტექსტის კითხვა და შინაარსის გააზრება, მათემატიკაშიც საგრძნობლად ჩამორჩება თანაკლასელებს. რადგან მათ ერთნაირი სამედიცინო დიაგნოზი აქვთ, მასწავლებელი ორივეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლედ მოიხსენიებს ხოლმე. ამის გამო კოლეგები მას შენიშვნას აძლევენ და ურჩევენ, სწორად გამოიყენოს ტერმინები - სსსმ და შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე).

- ახსენით თითოეული ტერმინის (სსსმ და შშმ) არსი.
- განმარტეთ, რა სხვაობაა ამ ტერმინებს შორის?

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N20

მაქსიმალური ქულა - 3

გიგა ძალიან მზრუნველი ბავშვია. ის განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა თანაკლასელს, რომელსაც კოხლეარული იმპლანტი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე კლასთან ინტეგრირებულია და არც რაიმე სხვა პრობლემა აქვს, გიგა ხშირად ეკითხება, ხომ არ სჭირდება დახმარება, ცდილობს დაიცვას ის, მიაქვს საჩუქრები, ყოველთვის ხმამაღლა და გარკვევით ესაუბრება, მოსწავლე კი თავს არიდებს მასთან ურთიერთობას და სხვა ბავშვებთან უფრო ხალისით თამაშობს.

- ახსენით, რატომ არიდებს თავს მოსწავლე გიგასთან ურთიერთობას.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N21

მაქსიმალური ქულა - 3

დაუნის სინდრომის მქონე პირველკლასელ მოსწავლეს ძალიან მოსწონს თავისი სასკოლო სახელმძღვანელოების დათვალიერება და მთელი გაკვეთილი ამით არის დაკავებული: სახელმძღვანელოს ხშირად ფურცლავს, ხელში ატრიალებს, აკვირდება ნახატებს და ზოგჯერ ცდილობს წიგნიდან მათ ამოხევას.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლე ჩართოს საგაკვეთილო პროცესში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N22

სპეციალური მასწავლებლის ერთ-ერთი ფუნქციაა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მოსწავლის სირთულეების შესახებ მშობლის/მეურვის ინფორმირება.

ჩამოთვლილთაგან მშობლის/მეურვისთვის ინფორმაციის მიწოდების რომელი ფორმა იქნება ყველაზე ეფექტიანი?

- ა) გამოვლენილი სირთულეები აუცილებლად დაუკავშიროს მოსწავლის მდგომარეობას, აქცენტი გააკეთოს მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე და არა მოსწავლის ქცევაზე.
- ბ) გამოვლენილი სირთულეები განიხილოს მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან ერთად და ინფორმაცია მიაწოდოს კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით, საკუთარი ინტერპრეტაციის გარეშე.
- გ) სუსტი მხარეები დეტალურად განიხილოს მშობელთან/მეურვესთან და თავი დაიზღვიოს, რომ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით მათ არ გაუჩნდეთ მაღალი მოლოდინები.
- დ) საგნის მასწავლებლის მიერ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიუთითოს პრობლემებზე და ურჩიოს, გაესაუბროს სხვა საგნების მასწავლებლებსაც.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N23

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფის შეხვედრაზე სასწავლო მიზნების მოდიფიკაციის ან ალტერნატიული მიზნების შემუშავებისას თითოეული მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს მისაღწევი შედეგისთვის საჭიროა, ისგ-ში აისახოს:

- ა) ეტაპობრივად მოცემული მოკლევადიანი მიზნები შესაბამის აქტივობებთან და რესურსებთან ერთად.
- ბ) სპეციალური მასწავლებლის მიერ დასახული გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის სტრატეგიები.
- გ) ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებული საერთო მიზანი კონკრეტულად ჩამოყალიბებული შინაარსებითა და შესაბამისი მეთოდებით.
- დ) მოცემულ საგანში დასახული მოკლევადიანი მიზანი თითოეულ გაკვეთილზე შესასრულებელ კონკრეტულ აქტივობებთან ერთად.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N24

რომელი აქტივობის/აქტივობების შესრულების დროს არის ჩართული ნატიფი მოტორული უნარები?

- I. თამაშის – ფაზლების, ლეგოს აწყობა/დაშლა, ძერწვა, მძივებით თამაში და ა. შ.
- II. კვების – კონტეინერის გახსნა/დახურვა, ჩანგლის/კოვზის ხმარება და ა. შ.
- III. მოძრაობის – კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა, ცალ ფეხზე ხტომა.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 28a 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40

დავალება N25

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფის შეხვედრისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს და დოკუმენტურად აისახოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის სასწავლო განრიგი, რომელშიც აუცილებელია მოცემული იყოს:

- ა) მოსწავლისთვის ინდივიდუალურად შერჩეული დასვენების ფორმა და ამისათვის გამოყოფილი ადგილი.
- ბ) თანაკლასელებთან ერთად სკოლაში გატარებული დრო და კონკრეტულ საგნებში საათობრივი დატვირთვა.
- გ) კლასში და რესურს ოთახში მეცადინეობების ხანგრძლივობა და იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებსაც ესწრება მოსწავლე.
- დ) რესურს ოთახში მოსწავლესთან მხოლოდ ინდივიდუალურად ჩატარებული გაკვეთილების ჩამონათვალი და ხანგრძლივობა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N26

მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად არსებობს საერთო ფაქტორები, რომლებიც მათი სწავლის სტიმულირებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია.

სპეციალური მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობებიდან დასწავლის ხარისხის გაზრდის მიზნით ყველაზე ეფექტიანია:

- ა) რესურს ოთახში ინდივიდუალური მუშაობის დროს, ძირითადად, ვიდეო აპარატურის გამოყენება.
- ბ) რესურს ოთახში სსსმ მოსწავლისთვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარება თანაკლასელების მონაწილეობით.
- გ) მარტივი ტექსტების შემცველი სახელმძღვანელოების გამოყენება და შესასრულებელი დავალებების რაოდენობის შემცირება.
- დ) მულტიმოდალური მიდგომა — ისეთი აქტივობების გამოყენება, რომელთა შესრულებაში ჩართულია შეგრძნების რამდენიმე ორგანო.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N27

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის კლასიდან კლასში გადასაყვანად სავალდებულოა თუ არა, რომ მან მიიღოს აკადემიური შეფასება ყველა საგანში?

- ა) **სავალდებულოა.** სსსმ მოსწავლე უნდა შეფასდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისევე, როგორც მისი თანატოლი ნებისმიერი სხვა მოსწავლე.
- ბ) **სავალდებულო არ არის.** კლასიდან კლასში სსსმ მოსწავლის გადასვლა ხდება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და არა აკადემიური შეფასების საფუძველზე.
- გ) **სავალდებულოა.** ზოგიერთ საგანში სსსმ მოსწავლე უნდა შეფასდეს შესაბამისი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგში კი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით.
- დ) **სავალდებულო არ არის.** მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსსმ მოსწავლეს შესაძლებელია, გამოტოვებული ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე საგანი და, შესაბამისად, არ შეფასდეს სემესტრულად.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N28

მეოთხე კლასის მოსწავლეს ინტელექტუალური განვითარების დარღვევის საშუალო ხარისხი აქვს. გაკვეთილზე მას მასწავლებელმა ნახატებიანი ბარათები მისცა და მათი რაიმე ნიშნით დაწყვილება სთხოვა.



*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 8a 9 10 11 12 12a 13 14 15 16 17 18 18a 19 20 21
22 23 24 25 26 27 28 28a 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40

მოსწავლემ ჟირაფი ამწესთან დააწყვილა.

ინტელექტუალური განვითარების დარღვევის საშუალო ხარისხის მქონე მოსწავლის არჩევანი განპირობებულია იმით, რომ:

- ა) მისი აზროვნება ეგოცენტრულია და არ შეუძლია ბარათზე მოცემული ფიგურების რეალისტური აღქმა.
- ბ) ყურადღების დეფიციტის გამო ის ვერ ახერხებს დავალების შინაარსზე კონცენტრაციას და მის გააზრებას.
- გ) მას ახასიათებს კონკრეტული თვალსაჩინო აზროვნება და უჭირს მსგავსების პოვნა იმ თვისების მიხედვით, რომელიც არ ჩანს.
- დ) მისთვის რთულია თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე ზეპირად მიწოდებული ინსტრუქციების გაგება და დავალების შესრულება.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N29

ინკლუზიური სწავლების პროცესში თანაბარ ჩართულობას პოზიტიური შედეგი მოაქვს არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ), არამედ ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებისთვისაც.

ჩამოთვლილთაგან რომელი არგუმენტი/არგუმენტები ადასტურებს ამ მოსაზრებას?

- I. დასწავლის პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის მასალის ახსნის პროცესში ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების ჩართვა ხელს უწყობს მათივე ცოდნის გაღრმავებას.
- II. ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეები სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობით სწავლობენ, რომ მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის უნდა წავიდნენ დათმობაზე.
- III. ტიპური განვითარების მქონე მოსწავლის მიერ მასწავლებლის ფუნქციის შესრულება სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში მეტ დროს უტოვებს მასწავლებელს დანარჩენი მოსწავლეებისათვის.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N30

სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფის შექმნა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ისგ-ის შედგენა იწყება მას შემდეგ, რაც:

- ა) სკოლას მიეწოდება მულტიდისციპლინური გუნდის შესაბამისი დასკვნა სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭებისა და მისი ისგ-ით სწავლების საჭიროების შესახებ.
- ბ) საგნის მასწავლებლების მიერ სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენების მიუხედავად, ვერ ხერხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევა.
- გ) სკოლას მიეწოდება ნეიროფსიქოლოგის დასკვნა შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.
- დ) მოსწავლეს აღენიშნება სირთულეები სწავლაში და მისი კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი ფორმით მიმართავს სკოლას მოსწავლისთვის სსსმ სტატუსის მინიჭებისა და ისგ-ით სწავლების საჭიროების თაობაზე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N31

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიის/სტრატეგიების გამოყენებას ურჩევთ მშობელს, როდესაც ბავშვი ამახინჯებს სიტყვებს, უჭირს ფრაზული მეტყველება, მწირი ლექსიკა აქვს ან უჭირს ლაპარაკი?

- I. **თვით-საუბარი:** როდესაც რამეს აკეთებთ და ბავშვიც იქვეა, გაახმოვანეთ საკუთარი მოქმედებები: „კუბები ჩავალაგე კალათში, ფერადი ფანქრები და სახატავი რვეული დავდე მაგიდაზე“.
- II. **პარალელური საუბარი:** როდესაც ბავშვი რამეს აკეთებს, გაახმოვანეთ მისი მოქმედებები: „სანდრომ წიგნი დაათვალიერა და შეინახა, ახლა მანქანებით თამაშობს“.
- III. **დასწავლა:** როდესაც ბავშვი სიტყვას სწორად ვერ გამოთქვამს, აუხსენით, რომ ეს შეცდომაა, მიეცით სწორი მეტყველების მაგალითი და უთხარით: „აბა, ასე თქვი“.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N32

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს დაფიდან წინადადებების გადაწერაში. მას კლასში ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე, რომელიც ვერ წერს, თუმცა წინააკადემიური უნარები განვითარებული აქვს.

რომელი სტრატეგიის გამოყენებაა ყველაზე მართებული იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლე ჩაერთოს საკლასო აქტივობებში?

- ა) როდესაც მოსწავლეები დაფიდან წინადადებებს იწერენ, სსსმ მოსწავლე წიგნში შესაბამის ილუსტრაციებს ათვალთვლებს.
- ბ) სსსმ მოსწავლე ნიმუშის მიხედვით აფერადებს დაფაზე დაწერილი წინადადებების შესატყვის მარტივ ილუსტრაციებს.
- გ) როდესაც მოსწავლეები დაფიდან წინადადებებს იწერენ, სსსმ მოსწავლე წერს მხოლოდ ცალკეულ ასო-ბგერებს.
- დ) მასწავლებელი ჯდება სსსმ მოსწავლის გვერდით და ეხმარება დაფიდან წინადადებების გადმოწერაში.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N33

ინკლუზიური სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, შეფასება არ უნდა იყოს მხოლოდ საზომი ინსტრუმენტი. შეფასება სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის ოპტიმალურ განათლებას.

ჩამოთვლილთაგან შეფასების რომელი ფორმა მიესადაგება ყველაზე მეტად ინკლუზიური სწავლების მიზანს?

- ა) ფორმალური შეფასება, რომელიც მასწავლებელს ეხმარება, შეადაროს მოსწავლის ინდივიდუალური მიღწევები მისი თანატოლების მიღწევებს.
- ბ) შემაჯამებელი შეფასება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, გაიგოს, რა ისწავლეს მოსწავლეებმა, რა დაამახსოვრდათ მათ პროგრამიდან.
- გ) ფორმატული შეფასება, რომელიც მოსწავლეების საჭიროებებისა და მათი პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას იძლევა.
- დ) დიაგნოსტიკური შეფასება, სტანდარტიზებული ტესტების გამოყენება, რომლის დროსაც ხდება სწავლის პოტენციური ბარიერის დადგენა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N34

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე ყოველთვის, როცა დავალების ამოხსნისას სირთულე ექმნება, ჩერდება და დასახმარებლად მასწავლებელს მიმართავს.

მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით მასწავლებლის მიერ რომელი აქტივობის გამოყენება იქნება ყველაზე მართებული?

- ა) მისცეს მეტი დრო ფიქრისთვის, მოსთხოვოს, რომ დამოუკიდებლად მოსინჯოს და თავად გააგრძელოს დავალების ამოხსნა.
- ბ) მომენტალურად დაეხმაროს მოსწავლეს, აჩვენოს დავალების ამოხსნის ხერხი და სიტყვიერი მითითებით ჩააწერინოს ამოხსნილი დავალება.
- გ) თანაკლასელებს სთხოვოს, უჩვენონ მოსწავლეს, როგორ შეასრულეს დავალება და ამის მიხედვით დაასრულებინოს იგი.
- დ) გაარკვიოს მოსწავლესთან, რა გააკეთა დამოუკიდებლად სირთულის დასაძლევად და შემდეგ მიმანიშნებელი კითხვებით მიიყვანოს სწორ პასუხამდე.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N35

ინკლუზიური სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რესურს ოთახი, რომლის ძირითადი დანიშნულება არის:

- ა) გაკვეთილიდან გამოსული მოსწავლეების დასვენებისა და განტვირთვისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.
- ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა.
- გ) საგნის მასწავლებლების მიერ სკოლის მოსწავლეებისთვის დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარება.
- დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პირადი საქმეებისა და სხვადასხვა რესურსის განთავსება.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

დავალება N36

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მასწავლებლის ყოველი გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს:

- ა) პროფესიონალთა შეთანხმებულ ხედვას, რომელიც უნდა გულისხმობდეს მოსწავლის ობიექტურ და არგუმენტირებულ შეფასებას.
- ბ) მოსწავლეზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებული აზრის საფუძველზე მიღებულ დასკვნას.
- გ) ეროვნულ სასწავლო გეგმას და აუცილებლად ასაკის შესაბამისი საფეხურიდან აღებულ მისაღწევ შედეგებს.
- დ) მოსწავლის შესაძლებლობებს და მისი მდგომარეობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.


[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

მასწავლებელს კლასში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლე ჰყავს, რომელსაც დასწავლის პრობლემა აქვს. იმისათვის, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს და გაზარდოს დასწავლის ეფექტიანობა, სასურველია, მან დაადგინოს, რომელი სენსორული სფეროა მოსწავლისთვის წამყვანი და აქტივობებიც ამის მიხედვით შეურჩიოს.

- აღწერეთ ქმედება, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლის სწავლის სტილის დადგენაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)



„დაფაზე სიტყვა „კატა“ დაწერა და ჩვენ ბგერებზე ვსაუბრობთ. მე მხოლოდ ერთი ბგერა მესმის - კატა. ის კი მეუბნება, ამ სიტყვაში ოთხი ბგერააო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მიმტკიცებს, რომ ცა ყვითელია. თითოეულ ბგერას წარმოვთქვამ და მგონი, ეს მშველის კიდეც, ბგერები განცალკევებულად აღვიქვა. მაგრამ ეს ერთი პატარა სიტყვაა და მე მთელი წიგნის წაკითხვას როდის შევძლებ...“

მისტერ დენიელსი სკამის საზურგეს ეყრდნობა და მეუბნება:

- წინ მიდიხარ ელი, ნამდვილად. შენ რას ფიქრობ ამ ყველაფერზე?
- მაინც არა ვარ დარწმუნებული, ოდესმე... ნორმალური... თუ ვიქნები და ისე კითხვას შევძლებ, როგორც სხვა ბავშვები... ისე, რომ არ დამჭირდეს ვინმეს დახმარება. შეუძლებლად მეჩვენება.“

(„თევზი ხეზე“, ლინდა მაღალი ჰანთი)

*დავალეზა გრძელდება მომდევნო გვერდზე.

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

- დაასახელეთ დასწავლის უნარის დარღვევის ფორმა, რომელიც იწვევს ნაწარმოების გმირის პრობლემას.
- აღწერეთ, სტრატეგია, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელი შეძლებს მსგავსი პრობლემების მქონე მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

ტერმინი „უნივერსალური დიზაინი“ მყარად დამკვიდრდა საგანმანათლებლო სივრცეში. ინკლუზიური განათლება სწორედ „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპებზე აგებულ საგანმანათლებლო სისტემაზეა ორიენტირებული.

- აღწერეთ „უნივერსალური დიზაინის“ ერთი პრინციპი.
- ახსენით, როგორ შეუწყობს ხელს ამ პრინციპის დაცვა სწავლა-სწავლების პროცესს ინკლუზიურ განათლებაში.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)

ახალ საგანმანათლებლო გარემოში ტრანზიცია ყველა მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენაა, ზოგჯერ მტკივნეულიც. უფრო მეტ სირთულეებს ამ პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეები აწყდებიან, ამიტომ ისინი გარშემომყოფთაგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ.

- აღწერეთ სპეციალური მასწავლებლის ერთი აქტივობა, რომელიც გაუადვილებს სსსმ მოსწავლეს ახალ საგანმანათლებლო გარემოში ტრანზიციას.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [6a](#) [7](#) [8](#) [8a](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [12a](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [18a](#) [19](#) [20](#) [21](#)
[22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [28a](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [38a](#) [39](#) [40](#)